საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 312/ს
13/09/2022

312-21-4-202209131746

ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №4ა-ში, შპს „ჭერის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჭერის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №4ა-ში, სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №4ა-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 4025 $მ^2$ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.05.24.217). სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-307023, Y-4679472. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 490 მეტრით. საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრიან რადიუსში, ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის საწარმო, კერძოდ, ობიექტიდან დაახლოებით 260 მეტრში განთავსებულია შპს „სადისტრიბუციო ცენტრის“, 290 მეტრში შპს „თოლია ქუთაისის“, 300 მეტრში შპს „ჯი არ სის“ სამშენებლო მასალების დამზადების და მეტალო-კრამიტის, 370 მეტრში შპს „კომოდის“ და 460 მეტრში შპს „ჯეომეტალის“ (თუჯის წარმოება) საწარმოები. ასევე, საწარმოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 120 მეტრში განთავსებულია მსგავსი პროფილის შპს „ქვაკუთხედის“ საწარმო, რომელიც ახორციელებს ტეშენიტის ქვის დაჭრას სველი მეთოდით.

2022 წლის 18 მაისს და 29 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჭერის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე და 79^7-ე მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე (ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის არქონა და სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის შესახებ №070848 და №073034 ოქმები და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 192 ტონა სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) მშრალი მეთოდით გადამუშავება (0.1 ტ/სთ). ობიექტის სამუშაო რეჟიმი შეადგენს წელიწადში 240 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს და დასაქმებულია 1 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს 2021 წლის დეკემბრის თვიდან და ტერიტორიაზე განთავსებულია ტეშენიტის ქვის მიმღები ღია სასაწყობე მოედანი, სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი (ყბებიანი სამსხვრევი), მბრუნავი ცხავი, ნედლეულისა და პროდუქციის საწყობი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტექნოლოგიური პროცესი იწყება შპს „ქვაკუთხედისგან“, ავტოთვითმცლელების საშუალებით, საწარმოს ტერიტორიაზე ტეშენიტის ქვის შემოზიდვით, რომელიც საწყობდება ღია სასაწყობე მოედანზე, საიდანაც ნედლეული, ხელის ნიჩბის საშუალებით მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს. ყბებიანი სამსხვრევიდან, დამსხვრეული მასა მიეწოდება მბრუნავ ცხაურს, სადაც ხდება დამსხვრეული მასალის დახარისხება 0-6 მმ, 0-10 მმ და 0-15 მმ დიამეტრის ფრაქციებად. ცხაურიდან მიღებული სხვადასხვა დიამეტრის ფრაქციის ღორღი, ხელის ნიჩბის საშუალებით იყრება ტომრებში და თავსდება საწყობში, შემდგომ რეალიზაციამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება საწარმომდე მისასვლელი არსებული საერთო სარგებლობის გზით. საწარმოს სრული სიმძლავრით მუშაობის შემთხვევაში დაგეგმილია დღე-ღამის განმავლობაში დაახლოებით 5 სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელება, შესაბამისად, სატრანსპორტო ნაკადებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე წყლის საწარმოო მიზნით გამოყენება დაგეგმილი არ არის. საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რისთვისაც წყალმომარაგება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ჭიდან (ლიცენზია N10001681). ჭის GPS კოორდინატებია: X-306997, Y-4679536.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები გროვდება ჰერმეტულ საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლა/გატანა ხორციელდება, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტზე, სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების ადგილი ნაწილობრივ გადახურულია, ასევე მზა პროდუქცია თავსდება ტომრებში და საწყობდება დახურულ შენობაში. შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურება შეწონილი ნაწილაკებით მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის წარმოქმნა და გაფრქვევა. სკრინინგის განცხადებაში შეფასებულია ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება და განხილულია მტვრის გამოყოფის/გაფრქვევის წყაროები. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა, საწარმოს მცირე წარმადობისა (192 ტ/წ) და უახლოესი

საცხოვრებელი სახლიდან (490 მ) დაშორების მანძილის გათვალისწინებით, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებ ნორმებს.

საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გამომწვევ წყაროს წარმოადგენს ტექნიკურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ობიექტიდან დაშორებულია 490 მეტრით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხმაურის მაქსიმალური დონე უახლოეს სახლთან იქნება 30.25 დეციბალი. შესაბამისად, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერში და მათ გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს ტერიტორიაზე არ იგეგმება მანქანა-დანადგარების შეკეთება, შესაბამისად ობიექტზე არ არის მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ტექნოლოგიური პროცესიდან ნარჩენები არ წარმოიქმნება, ვინაიდან ნედლეული უნარჩენოდ გადამუშავდება პროდუქციად.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ათვისებულ და ტექნოგენურად სახეცვლილ მიწის ნაკვეთს, სადაც არ არის წარმოდგენილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვის) გადამამუშავებელი საწარმოს მიმდებარედ, 500 მეტრიან რადიუსში ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის საწარმო, კერძოდ, საწარმოდან დაახლოებით 260 მეტრში შპს „სადისტრიბუციო ცენტრის“, 290 მეტრში შპს „თოლია ქუთაისის“, 300 მეტრში შპს „ჯი არ სის“ სამშენებლო მასალების დამზადების და მეტალო-კრამიტის, 370 მეტრში შპს „კომოდის“, 460 მეტრში შპს „ჯეომეტალის“ (თუჯის წარმოება) საწარმოები. ასევე, ობიექტიდან დაახლოებით 120 მეტრში განთავსებულია მსგავსი პროფილის შპს „ქვაკუთხედის“ საწარმო, რომელიც ახორციელებს ტეშენიტის ქვის დაჭრას სველი მეთოდით. შესაბამისად, საწარმოების ობიექტიდან დაშორების მანძილისა და შპს „ქვაკუთხედის“ საწარმოს მიერ ტეშენიტის ქვის სველი მეთოდით დამუშავების გათვალისწინებით, ადგილი არ ექნება მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს ადგილმდებარეობის, მცირე წარმადობისა (192 ტ/წ) და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის (490 მ) გათვალისწინებით, საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №4ა-ში, შპს „ჭერის“ სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჭერი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჭერს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო